იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსის დასახელება: **პროფესიული პრაქტიკა**
სასწავლო კურსის კოდი:
სასწავლო კურსის სტატუსი;სავალდებულო, ჟურნალისტიკის სპეციალობის მეორე კურსელთათვის.
ECTS: 5 კრედიტი, კვირაში 2 საკონტაქტო საათი
ლექტორი: თეა ლათიფაშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასისტენტ - პროფესორი.
ტელ: 5 55 57 76 17
ელ.ფოსტა: tea_latipashvili@yahoo.com

**სასწავლო კურსის მიზანი:** პროფესიული პრაქტიკის კურსის გავლის მიზანია სტუდენტები გაეცნონ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის შემოქმედებით პროცესს, გაიარონ ყველა ის გზა, რომელიც ჟურნალისტური მოღვაწეობის პროცესს შეეხება დაწყებული მედიასაშუალების პროგრამირებიდან მასალის მოპოვებას, დამუშავებასა და პერიოდულ გავცელებამდე. სტუდენტები კურსის მიმდინარეობისას უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას მედიასაშუალებების ფუნქციონირების ყველა პროცესში. მათ საშუალება ექნებათ პროფესიული პტაქტიკის კურსი საუნივერსიტეტო სწავლებასთან ერთად ადგილობრივ გაზეთსა და ტელევიზიაში გაიარონ.

**სასწავლო კურსის შედეგი:**

| | ზოგადი კომპეტენციები | დარგობრივი კომპეტენციები |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | სტუდენტი შეიძენს ისეთ უნარ-ჩვევებს, რომლებიც სხვადასხვა მედიასაშუალებებში მუშაობისთვის გამოადგება. | სტუდენტს შეუძლია გადასაღებ მოედანზე მობილიზებულობა და ოპერატიულობა, სწრაფად აზროვნება. ოპერატორთან ერთად სინქრონულად მუშაობა. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია მასალის მოპოვებისა და დამუშავების პროცესში უშუალოდ ჩართვა.<br>პროფესიულ ტექნიკასთან ურთიერთობა(კამერა, მიკროფონი, დიქტოფონი, კომპიუტერი). | შეუძლია თემის შერჩევის პროცესში ჩართულობა, მასალის მოძიებისა და მოპოვების მეთოდების პრაქტიკულად გამოყენება.მასალის დამუშავება და მედიაპროდუქტად ქცევა. მედიასაშუალებების ტექნიკის გამოყენება საჭიროებისამებრ, |
| დასკვნის უნარი | ინფორმაციის მრავალმხრივ გადამოწმების შედეგად შეუძლია | სტუდენტი იძენს ინფორმაციის სხვადასხვა |

| | | |
|---|---|---|
| | მაქსიმალურად სწორი დასკვნების გაკეთება. | წყაროებთან ურთიერთობის უნარს, შეუძლია ფაქტის გადამოწმება როგორც პირველ, ისე სხვა წყაროებთანაც. ახერხებს ისეთი არგუმენტების მოტანას, დომელიც უფრო სანდოს და დამაჯერებელს გახდის ინფორმაციას. |
| კომუნიკაციის უნარი | შეუძლია რესპონდენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობა. ადამიანური ურთიერთობები, პროფესიული ეთიკისა და სამართლის ნორმების დაცვა. | კურსის გავლის შედეგად სტუდენტ უადვილდება რესპონდენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობა. მას შეუძლია კონტაქტში შესვლა და რესპონდენტთან საუბრის მისთვის სჭირო მიმართულებით წაყვანა. აგრეთვე წყაროებთან ურთიერთობის გზით საკუთარი საინფორმაციო ბანკის შექმნა. |
| სწავლის უნარი | მისთვის საჭირო და სასარგებლო ცოდნის დაგროვების ფონზე ახდენს თვითრეალიზაციას და იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას. | სტუდენტი ახერხებს სამაუწყებლო და ბეჭდვითი მედიის გამოსახვითი საშუალებების მაქსიმალურად და ადეკვატურად გამოყენება. სათაურის, ლიდისა და ამოსვლის ეფექტურად გამოყენება. ჟურნალისტური უნარ-ჩვევების მაქსიმალურად გამოვლენა. |
| ღირებულებები | იცნობს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს. | პატივს სცემს სხვა ადამიანების ღირსებას და მისი პრიორიტეტია ობიექტურობისა და სარწმუნოობის პრინციპების დაცვა. |

**სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა:** პრაქტიკული ჟურნალისტიკა, სამაუწყებლო მედია, ბეჭდური მედია.

**სასწავლო კურსის სტრუქტურა:**

**I კვირა:** რადიო-ტელევიზიისა და პრესის ორგანოების ფუნქციონირების ზოგადი გაცნობა. ადგილობრივი ტელევიზიის დათვალიერება.

**II კვირა:** საინფორმაციო გამოშვების დაგეგმვის პროცესზე დასწრება, ჟურნალისტრბთან ერთად მასალის გადასაღებად წასვლა და ამ პროცესის თვალ-ყურის დევნება.
**III კვირა:** ჟურნალისტებთან ერთდ მასალის გადასაღებად წასვლა, ჟურნალისტის დახმარება, რესპონდენტებთან ურთიერთობის დაწყება.
**IV კვირა:** ტელევიზიის თანამშრომლებთან ერთად გადაღებული მასალის დამუშავება. ტექსტის დაწერის პროცესში ჩართვა, მასალიდან ინტერვიუების შერჩევა, ე.წ. სინქრონების ჩასმა, მონტაჟის პროცესის ყურება.
**V კვირა:** ჟურნალისტურ ტექსტზე მუშაობა, მასალის აწყობისა და მონტაჟის პროცესში ჩართვა.
**VI კვირა: I შუალედური წერა.**
კამერასთან და მიკროფონთან მუშაობის დაუფლება. თემის მოძიება და ოპერატორთან ერთად მასალის გადაღება, ტექსტის დაწერა და სიუჟეტის აწყობა. ხმისა და კადრის სინქრონულობის მიღწევა.
**VII კვირა:** პრაქტიკოსი ჟურნალისტებისა და ლექტორის დახმარებით მასალის მოპოვება, გადაღება, დამუშავება, ტექსტისა და მონტაჟის გამოყენება.
**VIII კვირა:** საუნივერსიტეტო გაზეთის გაცნობა, გაზეთის რედაქტორთან და თანამშრომლებთან შეხვედრა.
**IX კვირა:** გაზეთის სარედაქციო პოლიტიკისა და სტრუქტურის გაცნობა.
**X კვირა:** გაზეთის ახალი ნომრის დაგეგმვაზე დასწრება და მასში მონაწილეობის მიღება.
**XI კვირა:** საცდელ მასალაზე მუშაობა. თემის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და საგაზეთო ფორმატის მიცემა.
**XII კვირა. II შუალედური წერა.**
საგაზეთო სტატიის შექმნა.
**XIII კვირა:**
გაზეთის რედაქტორის დავალების შესრულება (საგაზეთო რეპორტჟი) გაზეთის ჟურნალისტებისა და ლექტორის დახმარებით.
**XIV კვირა:** საგაზეთო ინტერვიუს მომზადება.
**XV კვირა: პრეზენტაცია**
საუკეთესო ტელე ან საგაზეთო მასალის წარმოდგენა.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:** პრაქტიკული სამუშაოები, მედიასაშუალებების სამუშაო პროცესებზე დასწრება და მასში ჩართვა.

**შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:** შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით, პროპორციით - 60/40. **შუალედური შეფასება 60 ქულა:** 2 შუალედური წერა, თითო 15 ქულა, სულ 30 ქულა. 4 სასემინარო გამოკითხვა, თითო 5 ქულა, სულ 20 ქულა. 1 პრეზენტაცია 10 ქულა(თემის გასაგებად წაემოდგენა - 4 ქულა, დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა - 4 ქულა, ვიზუალური საშუალებების გამოყენება - 2 ქულა). **საბოლოო გამოცდა 40 ქულა.**
დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ან ზეპირი ფორმით. დასკვით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებაში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ იგი თავად წყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს.

| ქულა | შეფასება |
|---|---|
| | |
| A 91 – 100 | ფრიადი |

| | |
|---|---|
| **B**B 81 – 90 | ძალიან კარგი |
| **C** 71 – 80 | კარგი |
| **D** 61 – 70 | დამაკმაყოფილებელი |
| **E** 51 – 60 | საკმარისი |
| **Fx** 41 – 50 | ვერ ჩააბარა |
| **X** 40 და ნაკლები | ჩაიჭრა |

EE